საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №130/17

-- 2017 წლის 21 ივლისის №130 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია). საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №130/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 26 ივნისს შუამდგომლობით მიმართა -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას ბრალდებულ -- საქმეზე წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე.

-- განმარტებით, მოსამართლემ -- არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ შუამდგომლობა სასამართლოში წარდგენილი იყო საპროცესო ნორმების დარღვევით. კერძოდ, მოსამართლემ განჩინებაში განმარტა, რომ საქართველოს სსსკ 208 ე მუხლის შესაბამისად, არ დასტურდება მეორე მხარისთვის შუამდგომლობის გაცნობის ფაქტი.

-- შეფასებით, მოსამართლე -- მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე სრულყოფილად არ გაეცნო შუამდგომლობას და მასზე თანდართულ მასალას, რომლითაც აშკარად დასტურდებოდა, რომ დაცვის მხარემ კანონით დადგენილი წესის დაცვით აცნობა ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილება.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- 2017 წლის 21 ივლისის №130 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

3. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე - -- 2017 წლის 29 ივნისს, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ბრალდებულ -- ინტერესების დამცველი ადვოკატის -- შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შესახებ.

სასამართლო გაეცნო დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მასალებს და 2017 წლის 29 ივნისის №235/3188-17 განჩინებით უარი განაცხადა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

სასამართლოს შეფასებით, დაცვის მხარის შუამდგომლობაში არ არის წარმოდგენილი არანაირი საპროცესო დოკუმენტი, რითაც დასაბუთებული იქნებოდა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება. ადვოკატის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა მოტივირებული იყო იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოსაპოვებელი აქვს ექსპერტიზების დასკვნები, რის შესახებაც სასამართლომ მიუთითა საქართველოს სსკ 239-ე მუხლით განსაზღვრულ წესზე, რომელიც მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას წარადგინოს დამატებითი მტკიცებულებები სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს.

ზემოაღნიშნულის გარდა, სასამართლომ განჩინებაში განმარტა, რომ შუამდგომლობა წარდგენილი იყო საპროცესო ნორმების დარღვევით კერძოდ, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მასალებით არ დადგინდა ეცნობა თუ არა შუამდგომლობის დაყენების შესახებ პროკურორს, რაც საქართველოს სსსკ 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიულ მოთხოვნას

წარმოადგენს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული

უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ,,წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არაუგვიანეს 60 დღისა. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს სასამართლოს შუამდგომლობის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.''

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ,,შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.''

ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ,,შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს წარედგინება სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისთვის.“

ამდენად, ადვოკატ -- შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კერძოდ:

საქართველოს სსსკ 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით ცალსახად დადგენილია, რომ მხარის შუამდგომლობა, რომელიც დაკავშირებულია წინასასამართლო სხდომის თარიღის

განსაზღვრასთან უნდა იყო დასაბუთებული (შუამდგომლობით მიმართვის საფუძველი შეიძლება იყოს საქმის დიდი მოცულობა და სირთულე, გამოძიების ბოლო ეტაპზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი ახალი გარემოებები და სხვა).

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- დაცვის მხარის შუამდგომლობა მიიჩნია დაუსაბუთებლად და განმარტა, რომ სასამართლოში არ არის წარდგენილი არანაირი საპროცესო დოკუმენტი, რითაც დასაბუთებული იქნებოდა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება. შესაბამისად, საქართველოს სსსკ 208-ე, 94-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილი იყო არ დაეკმაყოფილებინა მხარის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე.

მოსამართლე -- გარდა იმისა, რომ შუამდგომლობა მიიჩნია დაუსაბუთებლად, განჩინებაში განმარტა, რომ არ დადასტურდა ის ფაქტი, რომ დაცვის მხარემ აცნობა ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების თაობაზე. მოსამართლე -- საკუთარი შინაგანი რწმენიდან გამომდინარე, სასამართლოში წარდგენილი 2017 წლის 26 ივნისის N17-90 წერილი არ მიიჩნია ბრალდების მხარისთვის შესაბამისი ცნობის მიღების ფაქტად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75^{1}-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული

შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №130/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი